75 (430)
Ქ 88

ᲙᲝᲥᲘᲩᲘ

1844 : 1944

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ



ი. ე. რეპინი.
ავტოპორტრეტი.

75(470)
Р 8

მ. დ უ დ უ ჩ ა ვ ა

ი. ე. რ ე პ ი ნ ი

ასი წელი დაბადებიდან

1083

გამომც. „ხელოვნება“. თბილისი,
1944 წ.

ი. რეპინი რუსული კლასიკური მხატვრობის მწვერვალი და დიდებაა. მის შემოქმედებაში ფერწერის ბრწყინვალე ოსტატობით და უდიდესი სიღრმით არის ასახული რუსი ხალხის ცხოვრება და სული. ის იყო ნამდვილი სახალხო ხელოვანი, რომელმაც ნაციონალური მიმართულება და რეალიზმი არა მარტო დაამკვიდრა მშობლიურ სახვითს ხელოვნებაში, არამედ ყველაზე ძლიერადაც გამოხატა ისინი. მას გატაცებით უყვარდა თავისი დიდი ხალხი, თავისი დიდი სამშობლო და ეს სიყვარული შინაგანი ცეცხლით და მგზნებარე განცდით აამეტყველა მან თავის მრავალრიცხოვან ტილოებზე.

და ამავე დროს, რეპინის ნაწარმოებთა ძირითადი ნაწილი გვევლინება როგორც არა მხოლოდ რუსული სახვითი ხელოვნების შედევრი და სიამაყე;—იგი გასული საუკუნის მსოფლიო მხატვრობის გენიალურ და დაუჩრდილავ შედევრსაც წარმოადგენს. არცერთ რუს მხატვარს ისე მაღლა და ისე ძლიერად, ისეთი დიდი გაქანებით და შინაგანი რწმენით არ აღუმართავს მსოფლიო ხელოვნების სარბიელზე ნაციონალური კულტურისა და ხელოვნების დროშა, როგორც აღმართა იგი რეპინმა.

აღნიშნულთან ერთად, „ნაციონალური რეალიზმი“ რეპინის შემოქმედებაში მჭიდროთაა დაკავშირებული ეპოქის მოწინავე იდეებთან. ფერისა და ხაზის დიდმა არტისტმა თავისი ფუნჯი და ფანქარი თავისი დროის ტკივი-

ლებისა და მღელვარე ინტერესების მესიტყვედ აქცია. მან 70—80-იანი წლების რუსულ მხატვრობაში ყველაზე ღრმად იგრძნო და ასახა რუსი ხალხის ახალი გზა და ეპოქის ქარიშხლიანი სუნთქვა.

* * *

ი. რეპინი დაიბადა 1844 წლის 5 აგვისტოს ქ. ჩუგუევში, სამხედრო ახალშენელის ოჯახში. პირველი მხატვრული განათლება მან მშობლიურ ქალაქში მიიღო — ჯერ სამხედრო ტოპოგრაფიულ სკოლაში, ხოლო შემდეგ ადგილობრივი მხატვრის ბუნაკოვის სახელოსნოში.

1864 წელს რეპინი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მსმენელი ხდება. ცუდი ეკონომიური პირობების მიუხედავად აკადემიაში ის ბრწყინვალე წარჩინებას იჩენდა, რის გამო რამდენჯერმე იქნა დაჯილდოვებული. აკადემიის კურსი კი ახალგაზრდა მხატვარმა დააამთავრა 1871 წელს ოქროს პირველი ხარისხის მედალით.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემია, თვით რეპინისვე სიტყვებით რომ გადმოვცეთ, „განცალკევებით იდგა“; ის „რუსეთის ცხოვრებას არ ხედავდა და არ ცნობდა.“ აქ გაბატონებული იყო უკიდურესი აკადემიზმი, რომელიც ხელოვნების განვითარების ერთადერთ გზად თვლიდა კლასიკური ხელოვნებისადმი მონურ მიბაძვას. რეპინი, როგორც აკადემიის მსმენელი, იძულებული იყო დამორჩილებოდა აკადემიის აღნიშნულ რეჟიმს და ემუშავა ე. წ. „კლასიკურ სიუჟეტებზე“. მაგრამ, ამავე დროს, იგი მთელი თავისი არსებით ისწრაფოდა რეალისტური ხელოვნებისაკენ, რომელსაც სათავეში უდგა მისი მეგობარი და არაოფიციალური მასწავლებელი ი. კრამსკოი. ეს უკანასკნელი ახალგაზრდა რეპინში ნერგავდა აკადემიზმისადმი სიძულვილსა და „იდეური ნაციონალური რეალიზმის“

ბ ურ ლ ა კ ე ბ ი ვოლგაზე (სურათის ცენტრალური ნაწილი)

პრინციპებს, გაჟღენთილს ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკის მებრძოლი სულით. ამას თან ერთვოდა კრამსკოის თანამებრძოლების, რუსული ხელოვნების ისტორიაში „პერედვიჟნიკელთა“ სახელწოდებით ცნობილი მხატვრების შეხედულებებისა და შემოქმედების უშუალო გავლენაც. აგრეთვე, როგორც ამ წრეში, ისე დამოუკიდებლადაც რეპინი ეცნობოდა ეპოქის მებრძოლ იდეებს, მწერლობისა და კრიტიკის მოწინავე წარმომადგენლებს, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენდნენ მასზე. ამ მხრივ უმთავრესად აღსანიშნავია: გოგოლი, ბელინსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, პრუდონი, ხოლო განსაკუთრებით ჩერნიშევსკი და სტასოვი. ასეთი გარემოსა და მიდრეკილების შედეგად ი. რეპინმა აკადემია დაამთავრა, როგორც აკადემიზმის შეურიგებელმა მტერმა და მგზნებარე რეალისტმა. პირველ დიდ ნაწარმოებს, რომელშიც ბრწყინვალედ აისახა გენიალური რუსი მხატვრის აღნიშნული შემოქმედებითი გზა, წარმოადგენს „ბურლაკები ვოლგაზე“. ეს ღრმად ნაციონალური ტილო, რომელიც ორი წლის განმავლობაში იქმნებოდა (დამთავრებული იქნა 1873 წლის თებერვალში), მკვეთრი რეალისტური სიმართლით ანსახიერებს უაღრესად მძაფრ ტრაგიკულ მომენტს რუსი ხალხის ცხოვრებიდან. ამავე დროს, იგი შესრულებულია ფერწერის ბრწყინვალე ოსტატობით. განსაკუთრებით ეს ითქმის კომპოზიციის, ტიპებისა და სურათის ძირითადი ნაწილის „მოხდენილი, გასაოცარი და ძლიერი“ კოლორიტის შესახებ.

1873 წლის მაისში „ბურლაკებით“ სახელგანთქმული რეპინი მიემგზავრება საზღვარგარეთ, როგორც აკადემიის სტიპენდიანტი. პირველად, ის იტალიის ხელოვნებას ეცნობა, ხოლო შემდეგ პარიზში ჩადის, სადაც 1876 წლის ზაფხულამდე რჩება.

ამ პერიოდში შექმნილი რეპინის ნაწარმოებები („სადკო წყალქვეშა სამეფოში“, უფრო ძლიერი „პარიზის კაფე“ და სხვ.) არ დგას „ბურლაკების“ სიმაღლეზე, როგორც ფერწერის, ისე რეალიზმისა და ნაციონალური ხასიათის თვალსაზრისით. და ალბად ამ ფაქტის შეგნებით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ საზღვარგარეთ გატარებულ წლებს რეპინი დაკარგულად თვლიდა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის. დამახასიათებელია ისიც, რომ ახალგაზრდა მხატვარი ვერ ურიგდებოდა საზღვარგარეთ ცხოვრებას. „საერთოდ საშინელებაა,—წერდა ის 1874 წლის 8 ივლისს სტასოვს,—რომ მე მოწყვეტილი ვარ რუსულ ცხოვრებას, ეს ჩემს ბუნებას არ შეეფერება“.

რეპინი სავსებით მართალი იყო. მისი შემოქმედებითი სტიქია ისე ღრმად და ორგანიულად უკავშირდებოდა რუსეთს, რომ მის ფერებს მხოლოდ აქ შეეძლო განეცადა დიდი შთაგონება და ეზეიმა ბრწყინვალე გამარჯვება.

ასეც მოხდა: სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მხატვარი ზედიზედ ქმნის დიდ ნაციონალურ ტილოებს. მათგან ყველაზე უადრესს წარმოადგენს „პროტოდიაკონი“, რომელიც 1877 წლის პირველ ნახევარში დაიწერა ჩუგუევში. ეს შესანიშნავი რეალისტური ნაწარმოები რეპინის ახალ გამარჯვებას წარმოადგენდა. მისი შექმნით ხელოვანი საბოლოოდ დაუბრუნდა „ბურლაკების“ გზას და არა მხოლოდ მეთოდის, არამედ ფერწერის ოსტატობის თვალსაზრისითაც საგრძნობლად ამაღლდა პარიზის პერიოდის დონესთან შედარებით.

მომდევნო წლებში რეპინის მოლბერტზე მრავალი პორტრეტი და ნაციონალური ყოფის ამსახველი სურა-

თი დაიბადა. ამავე დროს, რეპინი ხდება „პერედვიჟნიკელთა“ საზოგადოების წევრი და კიდევ უფრო ღრმად იმსჭვალება ეპოქის მებრძოლი იდეებით, კიდევ უფრო მეტი სიყვარულით სახავს თავისი ხალხის ცხოვრებას და მგზნებარე გატაცებით იბრძვის დიდი ნაციონალური რეალისტური ხელოვნების შესაქმნელად. ამ მხრივ უაღრესად დამახასიათებელია მხატვრის პირადი წერილი მიწერილი სტასოვისადმი 1881 წლის 2 იანვარს. „ეშმაკმა წაიღოს,—წერს იგი დასახელებულ წერილში თავისი შემოქმედებითი პრაქტიკითაც უკმაყოფილო—უკუვაგდებ ყველა ამ მკვდართა ისტორიულ აღდგენას, ყველა ამ ხალხურ-ეთნოგრაფიულ სცენებს,[1] გადავსახლდები პეტერბურგში და დავიწყებ მუშაობას დიდი ხნის წინათ მოფიქრებულ სურათებზე თვით ყველაზე საჭირბოროტო სინამდვილიდან, რომელიც გარს გვარტყია, გასაგებია ჩვენთვის და გვაღელვებს ყველა წარსულ ამბებზე უფრო“. ეს იყო ახალი რადიკალური პროგრამა, რომელიც ხელოვანის შემოქმედებითი ევოლუციის ყველაზე ბრწყინვალე პერიოდს დაედვა საფუძვლად. პირველ სიმაღლეს, რომელიც ამ პროგრამის პრინციპთა საფუძველზე შეიქმნა, წარმოადგენს „ლიტანია კურსკის გუბერნიაში“. (დაიწერა 1881—1883 წლებში).

„ლიტანია კურსკის გუბერნიაში“ თავისი ხასიათით „ბურლაკების“ გაგრძელებაა. იგი ი. რეპინის მეორე დიდი რეალისტური და ნაციონალური ეპოპეაა, რომლითაც ხელოვანი საგრძნობად გასცილდა ყველა იმ გამარჯვებებს, რომლებიც მან აქამდე მოიპოვა, როგორც ოსტატობის, ისე სინამდვილის ასახვის თვალსაზრისით.

---

[1] ამ დროს რეპინი ისტორიულ და ეთნოგრაფიულ თემებზეც მუშაობდა.

ამ ტილოზე ლიტანია—მრავალრიცხოვანი რელიგიური პროცესია—წარმოდგენილია როგორც მხოლოდ სიუჟეტური ქარგა, როგორც მასალა, რომლის საფუძველზე ტრადიციულად ამ თემასთან დაკავშირებული განცდების ნაცვლად ნაჩვენებია 80-იანი წლების რუსეთის სოფლის ცხოვრების ბრწყინვალე რეალისტური სახე. უკანასკნელის თვითეული ფენის, თვითეული კლასის ნამდვილი სოციალური პროფილი ამ მრავალფიგურიანი კომპოზიციაში განსახიერებულია უაღრესი რელიეფურობით და სიმართლით. მხატვრული შესრულების მხრივ კი: კომპოზიციის, ნახატის, კოლორიტისა და სოციალური ტიპის ჩვენების შესანიშნავი ოსტატობა—აი რა იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, ამ საერთოდ დიდი ხელოვნებით შესრულებულ სურათში.

* * *

80-ნი წლების დასასრულს რეპინის შემოქმედება განვითარების უმაღლეს მწვერვალს აღწევს. მხატვრის შემოქმედებითი ევოლუციის ეს პერიოდი ძირითადად დაიწყო 1884 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე დაწერილი სურათით — „არ ელოდნენ“.

პოლიტკატორღელი სტუდენტი მოულოდნელად ბრუნდება რამდენიმე წლის მანძილზე მიტოვებულ ოჯახში. მის წინ, სურათის მარჯვენა მხარეზე სდგას მასთან შესახვედრად სავარძლიდან წამომდგარი მოხუცი დედა, რომელიც მერყეობს—ჯერ კიდევ ვერ სცნობს შეცვლილ შვილს. იქვე როიალთან ზის სახე გაბრწყინებული ახალგაზრდა ქალი, რომელმაც სწრაფად იცნო მოულოდნელი სტუმარი—თავისი ქმარი. მათ გასწვრივ მარჯვენა მხარეზე მაგიდასთან სხედან და-ძმა. პირველი პატარა იყო, როცა მამა წაიყვანეს; ამიტომ მას არ ახსოვს ახალმო-



არ ელოდნენ

სული. მეორეს, უკვე გიმნაზიელს კი სწრაფად მოაგონდა მამის სახე, რის გამო სიხარულით და ღიმილით შეცქერის მას. მოსულის ზურგს უკან ღია კარებში მოსჩანს მოსამსახურე ქალი და მზარეული ქალის თავი. მთელს ოთახს, რომელშიც სხვათაშორის შეამჩნევთ ნ. ნეკრასოვისა და ტ. შევჩენკოს პორტრეტებსაც, რაღაც მომჯადოებელი მოულოდნელობა და გაკვირვება ფლობს. ერთი წუთის შემდეგ ყველაფერი ეს უდიდეს აღტაცებად და სიხარულად უნდა იქცეს,—ასეთია ამ სურათის სიუჟეტი, რომელიც შესრულებულია შესანიშნავი ოსტატობით, როგორც კოლორიტისა და კომპოზიციის, ისე ნახატისა და განწყობილების გადმოცემის მხრივ. მასში რეალისტური ფერებით არის ასახული სიხამდვილე, ნათლადაა ამეტყველებული პერსონაჟების შინაგანი ფსიქიური განცდები, თვით ამ შეხვედრის ტრაგიკული სიმძაფრე და სოციალური აზრი [1].

აღნიშნული მომენტები კიდევ უფრო მეტი სრულყოფილობითაა მოცემული რეპინის შემდეგს სურათში, რომელიც 1835 წლის იანვრის უკანასკნელ რიცხვებში იქნა ჩამოხსნილი მოლბერტიდან. ეს იყო მხატვრის შემოქმედებითი აღმავლობის მწვერვალი, უდიდესი შედევრი—„ივანე მრისხანე და მისი შვილი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს“.

1581 წელს ივანე მეოთხემ (მრისხანემ) მოჰკლა თავისი უფროსი შვილი. ამ ისტორიული დრამიდან რეპინის

---

[1] აღსანიშნავია, რომ „არ ელოდნენ“ თემატიკის მხრივ არ დგას განცალკევებით რეპინის შემოქმედებაში. 80-იან წლებში მხატვარი რუსეთის ნაროდნიკულ-რევოლუციური მოძრაობის ამსახველ სხვა სურათებსაც ქმნის. სახელდობრ: „პატიმარი მიყავთ“ (1877 წ.), „აღსარების წინ“ (1882 წ.), „რევოლუციონერთა კრება“ (1883 წ.) და „პროპაგანდისტის დაპატიმრება“.

დასახელებულ ტილოზე განსახიერებულია ჟრუანტელის მომგვრელი სცენა: მეფე გულში იკრავს და კოცნის მის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილ შვილს. ის, რომელსაც ერთი წუთის წინ საშინელი რისხვა და თავდავიწყება ამოქმედებდა, ახლა განუსაზღვრელი მწუხარებით გახელებული ცახცახებს, და ბორგავს თავისი მსხვერპლის წინ. მის „ალერსში“ შინაგანი წვალება, შეშზარავი სულიერი კატასტროფა და შიშის უსაზღვრო განცდაა ამეტყველებული. უღონოდ დაშვებული „ლამაზი და კეთილი“ შვილი კი თანდათან ქრება. მისი ჭრილობიდან, რომელსაც მჭიდროდ დაკვრია მკვლელის მარცხენა ხელი, ისევ ჩქეფს სისხლი. სისხლი დგას ნოხით დაფარულ იატაკზე. სისხლით შეღებილია მსხვერპლის სახე და ტანისამოსი. შვილის იატაკიდან აყვანის დროს სისხლში გასვრილა მამის თავიც. იქვე გდია რკინის გრძელი შუბი, რომლითაც შესრულდა მკვლელობის აქტი. ამავე დროს, სურათის უმთავრესი ნაწილი დაწერილია წითელი ფერის შემცველ გამებში, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს შთაბეჭდილებას. და ყველაფერი ეს განსახიერებულია უკიდურესი „მხატვრული ეკონომიით“ და გამომსახველობითი სრულყოფილობით. აქ არ არის მოცემული არც ერთი დეტალიც კი, რომელსაც რაიმე ასახვითი ფუნქცია არ ახასიათებდეს და ფერების ვირტუოზული ხელოვნებით არ იყოს ამეტყველებული. ამ შედეგრით რეპინი კიდევ უფრო მეტი სიძლიერით გამოვლინდა არა მარტო როგორც კოლორიტისა და კომპოზიციის უბრწყინვალესი შემომქმედი, არამედ აგრეთვე როგორც ფსიქოლოგი და რეალისტური ფერწერის გენიალური ოსტატიც.

„ივანე მრისხანეს“ აქვს თავისი მებრძოლი იდეური მხარეც. ამიტომ იყო, რომ ამ ნაწარმოებს გამოფენის პირველ დღიდანვე გამოუცხადა ბრძოლა რეაქციონურმა

~~4021~~ ~~1083~~
19895



ივანე მრისხანე და მისი შვილი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს.

წრეებმა, რის შედეგად იგი გარკვეულ პერიოდში აკრძალულიც კი იყო მეფის ცენზურის მიერ. აღნიშნული იდეური მომენტითაა გამოწვეული ისიც, რომ ეს სურათი უფრო ორგანიულად არის დაკავშირებული მხატვრის თანამედროვეებასთან, ვიდრე ისტორიულ სინამდვილესთან.

80-ნი წლების მეორე ნახევარში რეპინი ქმნის პორტრეტულ შედევრებსაც. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: მწერალ პისემსკის, კომპოზიტორ მუსორგსკისა და სხვ. პორტრეტები. ამ პორტრეტებით რეპინმა უდიდესი რუსი პორტრეტისტისა და მსოფლიო პორტრეტული ხელოვნების ერთერთი გენიალური წარმომადგენლის სახელი დაიმკვიდრა.

რეპინი ხატვის დიდი ოსტატიცაა. მისი, უმთავრესად 80-იან წლებში შესრულებული ნახატები ხაზის დიდი პოეზიით და ხელოვნებით ხასიათდებიან.

* * *

რეპინის იმ ნაწარმოებებიდან, რომლებიც 90—900-ან წლებში შეიქმნა, ყველაზე სრულყოფილს წარმოადგენენ დიდი ტილოები—„ზაპოროჟიელები ადგენენ თურქეთის სულთანთან გასაგზავნ წერილს“ (ძირითადი ვარიანტი დამთავრებული იქნა 1891 წელს) და „სახელმწიფო საბჭოს საზეიმო სხდომა“ (დაიწერა 1901—1903 წლებში).

პირველის სიუჟეტი ასახავს ზაპოროჟიელთა მიერ თურქეთის სულთან მაჰმად მეოთხესთან გაგზავნილი ცნობილი დამცინავი და უაღრესად მკაცრი წერილის შეთხზვის პროცესს, რაც რეპინს წერილის ავტორთა მგზნებარე პატრიოტიზმის მკვეთრი ჩვენებით აქვს განსახიერებული. ამ დიდ პატრიოტულ ტილოზე განსაკუთრებით ძლიერად აქვს შესრულებული მხატვარს კომპოზიცია,

ზაპოროჟიელთა ტიპები, განწყობა და უსაზღვრო კმაყოფილების გამომხატველი ვნებააშლილი სიცილი.

„სახელმწიფო საბჭოს სხდომა“ რუსული პორტრეტული ხელოვნების ერთერთ შედევრს წარმოადგენს. მართალია, ეს 86 ფიგურის შემცველი გრანდიოზული პორტრეტული კომპოზიცია არ არის შესრულებული ფერწერის იმ ვირტუოზული ხელოვნებით, რაც ახასიათებდა რეპინის ფუნჯს 80-ნი წლების მეორე ნახევარში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც გარკვევით შეიცავს დიდ შემოქმედებითს განცდასა და ოსტატობას. ძირითადად ეს ითქმის ცალკეულ შემთხვევებში უფრო ძლიერად შესრულებულ სხდომის მონაწილეთა ეტიუდ—პორტრეტების შესახებაც.

* * *

„სახელმწიფო საბჭოს სხდომა“ რეპინის შემოქმედების უკანასკნელ მწვერვალს წარმოადგენდა.

1917 წელს, როდესაც მთელი რუსეთი რევოლუციის ცეცხლში იყო გახვეული, რეპინი უკანასკნელად სუნთქავდა მშობლიური ქვეყნის ჰაერს. აღნიშნულ წლის 24 ნოემბერს პეტერბურგში, მიხაილოვის თეატრის ფოიეში, ზეიმით გადაუხადეს მას შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის თავი. ჩქარა ამის შემდეგ იგი გაემგზავრა ფინეთში, სადაც მას მეორე ცოლის ნატალია სევეროვას მიერ დატოვებული საკუთარი აგარაკი ჰქონდა კუოკალას მახლობლად („პენატი“). აქ რეპინი 1900 წლიდან ცხოვრობდა სისტემატურად და აქ დაასრულა მან თავისი სიცოცხლეც.

კუოკალაში რეპინი რელიგიურ სიუჟეტებზე აგებულ სურათებთან ერთად წერს: პორტრეტულ კომპოზიციას—„ფინეთის მხატვრები“ (1925 წ.), უფრო

ზაპოროჟიელები ადგენენ თურქეთის სულთანთან გასაგზავნ წერილს.

ძლიერად შესრულებულ აკადემიკოს პავლოვის პორტრეტს (1925 წ.) და სხვა მხატვრული თვალსაზრისით შედარებით მეტად ფერმკრთალ ნაწარმოებს. უკანასკნელად მას განზრახული ჰქონდა დაეწერა ა. ლუნაჩარსკისა და აკადემიკოს კარპინსკის პორტრეტებიც, მაგრამ ზედმიწევნით მოხუც და ავადმყოფ ხელოვანს უკვე, აღარ შეეძლო მოლბერტის წინ დგომა, რის გამო ეს სურვილი მან თან ჩაიტანა სამარეში.

სანარეში ჩაყვა რეპინს სამშობლოდან გადახვეწილის დიდი სევდაც. მიუხედავად იმისა რომ გენიალური ხელოვანი კუოკალაში, მისივე სიტყვებით რომ გადმოვცეთ, „მოწყვეტილი თავისი დიდი ხალხისაგან, მეგობრებისაგან“, „მთლიანად მარტოდ“ იყო დარჩენილი, მაინც ბოლომდის მგზნებარე პატრიოტად დარჩა. მას საბჭოთა კავშირში მცხოვრებ უახლოეს მეგობრებთან ურთიერთობის გზით უშუალოდ დაკავშირებულს ჩვენს ცხოვრებასთან, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სამშობლოში დაბრუნება. „დიახ... დროა ჩვენ დავბრუნდეთ რუსეთში და დავიწყო შემოქმედებითი მუშაობა“—წერდა ის თავის ქალიშვილს ჯერ კიდევ 1922 წელს. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ ის აღფრთოვანება, რომელიც მხატვარში გამოიწვია საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. კ. ვოროშილოვის წერილის მიღებამ 1926 წელს.[1] „მე ვსთვლი ჩემს თავს ბედნიერად,—წერდა ის ამ წერილის მიღების გამო მხატვარ ი. ბროდსკის,—ძვირფასი ავტოგრაფის მიღებით და ჩემი დამსახურებების აღიარებით იმ

---

[1] ამხ. ვოროშილოვის ეს წერილი წარმოადგენდა საბჭოთა მთავრობის გამოხმაურებას რეპინის ოფიციალურ განცხადებაზე სამშობლოში დაბრუნების შესახებ. მას განსაკუთრებით ინახავდა რეპინი თავის სიცოცხლეში.

უდიდესი ქვეყნის წარმომადგენლის მიერ, რომელსაც ამდენი დამსახურება მიუძღვის კაცობრიობის წინაშე. სხვა ქვეყნები არასოდეს არ ასულან ასეთ სიმაღლემდე“.

მომდევნო წლებში საბჭოთა სამშობლო კიდევ უფრო ძლიერად იზიდავდა რეპინს,მაგრამ ხანდაზმულობა და ავადმყოფობა, ამავე დროს რწმენა სიკვდილის მოახლოვებაზე, თანდათან მეტად უღობავდა მას გზას თავისი ქვეყნისაკენ. 1930 წლის 29 სექტემბერს კი სამუდამოდ შეწყდა გენიალური მხატვრის მაჯისცემა. ის დასაფლავებულია „პენატში“, თავისი სახლის ბაღში.

1940 წელს წითელი ჯარების კუოკალაში შესვლის დროს თეთრფინელებმა ვერ მოასწრეს რეპინის სახლის განადგურება. საბჭოთა მთავრობის მიერ აქ დაარსებული იქნა რეპინის მუზეუმი, რომელიც ამჟამად გერმანელი ფაშისტებისა და თეთრფინელების მიერ გაპარტახებულია. კაცობრიობის უბოროტესმა მტერმა რუსი ხალხის დიდი კულტურის ამ ღირსეული წარმომადგენლის სახელიც შეურაცხყვეს.

* * *

დიდმა **სტალინმა** ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის 24 წლის თავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში, რუს ერს პლეხანოვისა და ლენინის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასი და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერი უწოდა.

რეპინმა ეს უბრწყინვალესი ღირსება თავისი დიდი ერის ისტორიაში მოიპოვა არა მარტო იმით, რომ ის ფერწერის, მხატვრული განზოგადებისა და ადამიანის

სახლი კუოკალაში (პენატი), სადაც ცხოვრობდა ი. რეპინი.
ჩანახატი ი. მამალაძისა. 1940 წ.



განსახიერების გენიალური ოსტატი იყო, არამედ იმითაც, რომ მის შემოქმედებითს სუნთქვასა და შთაგონებას რუსი ხალხის ცხოვრება და ინტერესები წარმოადგენდა. მან შექმნა ღრმად ნაციონალური და რეალისტური მრავალრიცხოვანი ტილოები, რომელთა ფერები თავისი ხალხის ყოფიდანაა ამოკითხული და რომლებიც რუსეთის დიდებას უმღერიან.

ყველაფერი ეს კი წარმოადგენს იმ უდიდესი სიყვარულის საფუძველს, რომელიც უპირველეს ყოვლისა რუს ხალხს, ხოლო მასთან ერთად ყველა საბჭოთა ხალხებსა და მთელს მოწინავე კაცობრიობას აკავშირებს რეპინის სახელთან.



პ/მგ. რედაქტორი ო.თ. ეგაძე

ყდა შესრულებულია მხატვარ ვ. გრიგოლიას მიერ

[redacted]. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“

უე 07870 შეკვ. № 640. ტირ. 2000.